ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ა ს ი

კერძო პირთათვის 10.000 მანეთი.

სახელმწიფო დაწეს. 8.000 მანეთი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

მოამბე

შაბათი, ივნისის 24. 1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 35 ორკვირეული ორგანო. № 35

ჟურნალ „მოამბე"-ს რედაქციისაგან.

ყველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ჟურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

ყველა ხელის მომწერი ვალდებულია გადაიხადოს მასზე დარიცხული ხელის მოწერის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში **მოესპობათ ჟურნალის გზავნა.**

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.

რედაქცია ღიაა დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.

ოფიციალური განყოფილება

ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

დადგენილება № 4.

სრულიად საქართვ ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

ერთიანი ნატურალური გადასახადის შესახებ.

ყველა ნატურალური გადასახადის გამარტივებისა და გაერთიანებისათვის, აგრეთვე იმ მიზნით, რომ გლეხობას მიეცეს მეტი თავისუფლება სასოფლო მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების საქმეში, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ნატურალური გადასახადი რომელიც სოფლის მეურნეს მოუწევს ამიერიდან გამოანგარიშებულ უნდა იქნეს სიმინდისა ან ხორბლის ერთეულში და ნატურალური გადასახადის აკრეფა უნდა სწარმოებდეს ძირითადი პროდუქტებით (ნაწარმოებით), რაც მეურნეობაში მიდის.

2. ამის შესა სრულებლად დაევალოს სახალხო კომისართა საბჭოს დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს პროექტი დეკრეტისა ერთიანი ნატურალური გადასახადის შესახებ, ნაცვლად ამ ჟამად ძომქმედი, სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გადასახადის ცალკე დეკრეტებისა.

3. ერთიანი ნატურალური გადასახადის დეკრეტის მოქმედება დაწყებულ იქნეს 1922 წლ. მაისის 15-დან.

4. 1922 წლ. მაისის 15-დან შესწყდეს გადასახადის თანახმად წარმოებული აკრეფა პურეულის ყველა პროდუქტისა, გარდა სიმინდისა დასავლეთ საქართველოს არა დამშეულ მაზრებში, სადაც სიმინდის აკრეფა შესწყდეს მაისის 30-დან.

5. მოგროვება ღვინისა, ხორცისა, მატყლისა და რძის პროდუქტებისა,—რომელიც 1921 წლისათვის გადასახადის მიხედვით უწევს გადასახდელად სასოფლო მეურნეობას და რომლის რეალიზაციაც უნდა მოხდეს მიმდინარე წელში,—სწარმოებს 1922 წლის ივლისის 1-დე.

6. ამა დადგენილების მე-4 მუხლის მიხედვით დაევალოს სახალხო კომისართა საბჭოს გამოსცეს დეკრეტი გადამხდელის მიერ სხვა და სხვა მიზეზით მაისის 15-სა, მაისის 30-სა და ივლისის 1-სათვის ჩაბარებული ნატურალური გადასახადის ნარჩენში გადარიცხვის წესის შესახებ; ამასთანავე, აღნიშნული დეკრეტის შემუშავების დროს სახალხო კომისართა საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს გადასახადის სიმძიმის შემსუბუქება ულარიბეს გლეხობის მეურნეობისათვის, სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობისათვის და იმ წითელარმიელთა მეურნეობისათვის, რომელნიც იმყოფებიან წითელი არმიის ნამდვილ სამსახურში. (აღნიშნული დეკრეტი უნდა შეუთანხმდეს წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ გამოცემულ დეკრეტს).

7. ერთიანი ნატურალური გადასახადის საერთო რაოდენობა უნდა განისაზღვროს მთელი რესპუბლიკისათვის და უნდა განაწილდეს ცენტრში მაზრებზე ამა თუ იმ მაზრის მიერ გადასახადის გადახდის შემძლეობის მიხედვით.

8. მაზრის გადასახადის ამკრეფ კომისიას უფლება მიეცეს მაზრაზე გაწერილი ნატურალური გადასახადი გაანაწილოს თემთა შორის.

9. უფლება მიეცეს თემს გაანაწილოს გადასახადი სოფლებს შორის, ხოლო თემის მიერ მიღებული განაწილება ძალაში შედის ამ განაწილების მაზრის გადასახადის ამკრეფ კომისიის მიერ დამტკიცების დღიდან.

სრულიად საქართვ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მაისის 10.

ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 5

სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შემოსავლისა, ხარჯებისა, ხარჯთაღრიცხვისა და ანგარიშების დებულების მე-13 მუხლის 1 პუნქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეჩერებულ იქნეს მოქმედება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1922 წლის თებერვლის 5-ს დამტკიცებული საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შემოსავლისა, ხარჯებისა, ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების მე-13 მუხლის 1 პუნქტისა—მამულით სარგებლობისა შემოსავალზე გადასახადის დადების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კანონ-დებულებათა გადამსინჯავ კომისიას,—ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა,—განიხილოს მთლიანად ზემოხსენებული დებულება სატრაქტირო სარეწავის შესახებ და თავისი დასკვნა ამა დებულებათა შესახებ წარმოუდგინოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

3. ამა დადგენილების აღსრულება პირველ მუხლში აღნიშნული დებულების მე-13 მუხ. 1 პუნქტის მოქმედების შეჩერების შესახებ დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ.
კომ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრ. კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მაისის 11.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 6.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

ერთიანი ნატურალური გადასახადის მე-4 №-ის დადგენილების 1, 4 და 6 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

ერთიანი ნატურალური გადასახადის შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1922 წლის მაისის 11-ს თარიღითა და 4 №-ით გამოცემული დადგენილების 1, 4 და 6 მუხლის შეცვლისა და დამატებისათვის – სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. მუხლი 1 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ნატურალური გადასახადი, რომელიც სოფლის მეურნეს მოუწევს, ამიერიდან გამოანგარიშებულ უნდა იქნეს სიმინდისა ან ხორბლის ერთეულად.

შენიშვნა: გადასახადის გამღებს ნება ეძლევა შეიტანოს გადასახადი სასოფლო მეურნეობის ძირითადი პროდუქტებით და აგრეთვე შესცვალოს გადასახადი ფულადი ეკვივალენტით, თანახმად სასურსათო სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციისა“.

2. მუხლი მე-4-ე შეიცვალოს შემდეგნაირად:

„1922 წლის მაისის 15-დან შესწყდეს გადასახადის თანახმად წარმოებული აკრეფა პურეულის, ყველა პროდუქტისა, კარტოფილისა, ბოსტნეულისა და ხილისა.

3. მე-6 მუხლში სიტყვები „მაისის 30-სა“ სრულიად ამოიშალოს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებ. კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მაისის 20.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისარ. საბჭო.

დეკრეტი № 5.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.

იძულებითი სამუშაოს მოწყობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს იძულებითი სამუშაოს მოწყობა იმ პირთათვის, ვისაც მისჯილი აქვს იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილას დაუმწყვდევლად.

2. იძულებითი სამუშაოს მოწყობისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილას დაუმწყვდევლად, დაარსდეს ქალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრისათვის ტფილისში—ცენტრალურ დასჯა-გასწორების განყოფილებასთან, ხოლო ადგილობრივ—იუსტიციის სამაზრო განყოფილებებთან «იძულებითი სამუშაოს ბიუროები“, შემდეგი შედგენილობით: ბიუროს ორი წევრი, რომელთა შორის ერთი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან მმართველობის წარმომადგენელია, ხოლო მეორე შრომის ადგილობრივი განყოფილებისა; ორივე წევრი შედის ბიუროში დანიშვნით სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა და შრომის განყოფილების მიერ; ქალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრის ბიუროს თავმჯდომარედ არის ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილების გამგის თანაშემწე, სამუშაოთა ნაწილისათვის, ხოლო დანარჩენ ადგილებში—სამაზრო იუსტიციის განყოფ. გამგე.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, უკეთუ ადგილობრივ შრომის განყოფილების წარმომადგენელი არ იმყოფება, ბიუროს მეორე წევრსაც აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს.

3. იძულებითი სამუშაოს ბიუროს მოვალეობას შეადგენს: თავისუფლების აღუკვეთლად იძულებით მუშაობა-მისჯილთა აღნუსხვა და რეგისტრაცია, მათი განაწილება და სამუშაოზე გაგზავნა, იძულებითი სამუშაოს მოწყობის გამგებლობა და მისი ორგანიზაცია, კონტროლი და უშუალო მეთვალყურეობა მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის.

შენიშვნა 1: განაჩენისა თუ დადგენილების ასლი თავისუფლების აღუკვეთელად იძულებითი მუშაობა-მისჯილთურთ განაჩენის გამომტან ორგანოს მიერ, უნდა გაიგზავნოს უშუალოდ ბიუროში საჭირო ცნობებით იმის შესახებ, თუ რისთვის, რა ვადით და რა გვარი სამუშაო მიესაჯა მსჯავრდადებულს.

შენიშვნა 2: თავისუფლების აღუკვეთელად იძულებითი მუშაობა-მისჯილთა განაწილება და სამუშაოზე დანიშვნა არ შეიძლება თვინიერ იძულებითი სამუშაოს ბიუროსა.

4. იძულებითი სამუშაოს ბიურო თავის ფუნქციებს ადგილობრივ ახორციელებს უშუალოდ, ხოლო მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის კონტროლისა და უშუალო მეთვალყურეობის ფუნქცია შეუძლიან განახორციელოს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობითაც.

შენიშვნა: მეთვალყურეობა—განაჩენის სისწორით აღსრულებისათვის შეადგენს სახალხო მოსამართლის მოვალეობასაც.

5. მუშაობის განვითარების მიხედვით იძულებითი სამუშაოს ბიურო, ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილების ნებართვით, დანიშნავს უფროს და უმცროს ათისთავების საჭირო რიცხვს.

6. იძულებითი სამუშაო შეიცავს შემდეგ კატეგორიას:

ა) მძიმე სამუშაო: მძიმე ტვირთის ზიდვა, შეშის ჭრა და ხერხვა, დატვირთვა და გადმოტვირთვა და ხელით შესასრულებელი სხვა მძიმე სამუშაო;

ბ) უფრო იოლი ფიზიკური შრომა: დალაგება და გასუფთავება სადგომებისა და ქუჩებისა, პაკეტების დატარება და სხვ.;

გ) მუშაობა საბჭოთა და საწარმოო დაწესებულებაში სპეციალობის მიხედვით.

7. შრომის გასამჯელო იძულებითი მუშაობა-მისჯილს ეძლევა სათანადო პროფესიონალური კავშირის განაკვეთის მიხედვით; გასამრჯელოდ მისაცემი ფულიდან დაჭერილ უნდა იქნეს 15% „იძულებითი სამუშაოს ბიუროს“ საორგანიზაციო ხარჯებისათვის.

8. იძულებითი მუშაობა-მისჯილს და სამუშაოს მოსახდელად გაგზავნილს პასპორტისა ან მისი სამაგიერო დოკუმენტის ნაცვლად, ეძლევა დროებითი სამუშაო წიგნაკი, რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგ ბიუროს უნდა დაუბრუნდეს.

9. სასჯელის მოხდის ვადა იწყება მსჯავრდადებულის ბიუროში მიყვანის დღიდან. სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაითვალოს:

ა) ის დღეები, როდესაც მსჯავრ-დადებულს ფაქტიური მონაწილეობა მიუღია მუშაობაში.

ბ) ის დღეები, როდესაც მსჯავრდადებულს არ შეეძლო იძულებითი სამუშაოში ფაქტიური მონაწილეობის მიღება ბიუროს მიერ სამუშაოს მიუცემლობის გამო და

გ) ის დღეები, როდესაც მსჯავრდადებული ბიუროში გამოცხადდება სარეგისტრაციოდ და შესამოწმებლად.

10. იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც სამუშაო დღეებს გადააცდენს ან მუშაობას სრულიად თავს აარიდებს, შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

ა) მსჯავრდადებულის მიზეზით გაცდენილი თვითეული დღისათვის იძულებითი მუშაობის ვადა გადიდებულ უნდა იქნეს სამ დღემდე;

ბ) უკეთუ დღეების გაცდენა გამეორდა ბიუროს უფლება ეძლევა დამნაშავე დისციპლინარული წესით დააპატიჟროს ამისათვის მიჩენილ ადგილას—1-დან 10 დღემდე და

გ) ბიუროს შეუძლიან მუშაობაში ზარმაცსა და უმუყაითოს დაუჭიროს ხელფასიდან გაცდენილი საათების ფული; დაჭერილი თანხა უნდა გადაირიცხოს ხაზინის შემოსავალში.

11. უკეთუ მსჯავრდადებული დაჟინებით თავს არიდებს მუშაობას, ბიურო ამის შესახებ აუწყებს სათანადო, ან სამუშაოს მოსახდელ ადგილის ახლოეს სახალხო სასამართლოს, რომელიც გაარჩევს რა საქმეს—შეუძლიან დაადგინოს, რომ მსჯავრდადებული გაგზავნილი იქნეს საპატიმროში სასჯელის დარჩენილ ვადის ან ამ ვადის ნაწილის მოსახდელად.

12. ბიუროს შეუძლიან სასჯელის ნახევარი ვადის გასვლისას აღძრას შუამდგომლობა განაჩენის გამომტან დაწესებულების წინაშე მუყაითად და კეთილსინდისიერად მომუშავე მსჯავრდადებულის სასჯელის ვადის გასვლამდე განთავისუფლების შესახებ.

13. თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი მუშაობა-მისჯილი შრომის დაცვის მხრივ სარგებლობს ყველა უფლებას.

14. მსჯავრდადებული ვალდებულია ბიუროს მიერ დანიშნულ დღეებში, თვეში ორჯერ მაინც, გამოცხადდეს სარეგისტრაციოდ; ამასთანავე, ყველა დაწესებულება, რომელიც სარგებლობს სასჯელის მომხდელთა შრომით, ვალდებულია ყოველთვიურად არა უგვიანეს 15 რიცხვისა, გაეგზავნოს ბიუროს იმ პირთა სია, რომელნიც აღნიშნულ დაწესებულებაში იხდიან იძულებითი მუშაობას და, აგრეთვე ცნობები იმ მსჯავრდადებულთა შესახებ, ვინც არა კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. ყოველი ასეთი შემთხვევა, ბიუროს მიერ შემოწმებული, შეტანილ უნდა იქნეს მსჯავრდადებულის სამუშაო წიგნაკში.

შენიშვნა: უკეთუ რომელიმე დაწესებულება არ შეასრულებს მე-14 მუხლში აღნიშნულ მოვალეობას, ბიურო ამის შესახებ აცნობებს უმაღლეს სათანადო დაწესებულებას განკარგულებისათვის.

15. უკეთუ მსჯავრდადებული სასჯელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეშე იხდის და იქ მას დარჩა ოჯახი, ქონება თუ სამსახური, სადაც მის მაგიერობას ვერავინ გასწევს, იგი შეიძლება მივლენილ იქნეს სასჯელის მოსახდელად მისი სა-

ცხოვრებელი ადგილის ბიუროს განკარგულებაში.

16. განაჩენის გამომტანი დაწესებულების ნებართვით, ბიუროს შეუძლიან იძულებითი მუშაობისაგან დროებით გაანთავისუფლოს:

ა) სასჯელის მომხდელი ავადმყოფი, ადგილობრივი მეთვალყურე ექიმისა, ან ჯანმრთელობის ადგილობრივი განყოფილების მიერ განსაზღვრულ ვადით და

ბ) ფეხმძიმენი, არსებული დებულების თანახმად.

17. ნამდვილ სამსახურში გასაწვევი პირი, როგორც გასაწვევ წლოვანობას მიღწეული, ისე სამხედრო ბეჭარა მოხდილი სამხედრო ვალდებული, სათანადო სამხედრო კომისართან შეთანხმებით უნდა განთავისუფლდეს იძულებითი მუშაობისაგან სამხედრო ნაწილში გასაგზავნად.

18. ზოგადი, პრინციპიალური ხასიათის საკითხებს, რომელსაც კავშირი ექნება იძულებითი სამუშაოს მოწყობასა და წარმოებასთან, გადასწყვეტს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილება.

19. ცენტრალურ დასჯა-გასწორების განყოფილებას ევალება აგრეთვე საერთო მეთვალყურეობა იძულებითი სამუშაოს ბიუროს მიერ იძულებითი სამუშაოების შესახებ გამოცემული დეკრეტებისა და განკარგულებათა სისწორით აღსრულებისათვის და ინსტრუქციების გამოცემა აღნიშნულ სამუშაოთა ორგანიზაციისა და წარმოებისათვის.

20. გაუქმებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკაში ამ ჟამად არსებული ყველა საკონცენტრაციო ბანაკი.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოს
თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

იუსტიციის სახ. კომის. მოადგილე **ბროდსკი.**

კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 17.
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 6.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სააქციზო წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა, დამატებისა და გაუქმების შესახებ.

სააქციზო წესდების სათანადო მუხლების შესაცვლელად, დასამატებლად და გასაუქმებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონერი კომიტეტის 1921 წლისა აპრილის 22 თარიღისა და მე-9 №-ის დადგენილება და აღდგენილ იქნეს ყოველგვარი მაგარი სასმელის ვაჭრობა არსებული სააქციზო წესდებისა თანახმად.

ნებადართულია იქვე ადგილობრივ, დალევა და გარედ გატანა ღვინისა და ლუდისა, ხოლო დანარჩენი მაგარი სასმელის კი მარტო გარედ გატანა.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს შეუძლიან ნებადართოს ვაჭრობა ყოველგვარი მაგარი სასმელისა იქვე, ადგილობრივ, დასალევად რესტორანებსა და საქველმოქმედო საღამოებზე.

2. 1921 წლის ოქტომბრის 7-ის თარიღისა და 75 №-ის დეკრეტის მე-8 მუხ. აღნიშნული ადგილების გარდა, შემოღებულ იქნეს ღვინის აღნუსხვა: ტფილისის მაზრ. ს. დიღომში, დუშეთის მაზრ.—დ. მცხეთაში, გორის მაზრ.— დ. ცხინვალსა და გომში, ბათომის ოლქში—გოროდოკსა, ბარცხანასა და ჭაობში, ბორჩალოს მაზრ.—შულავერში.

3. 75 №-ის დეკრეტის მე-9 მუხლის ღვინის სავაჭროებისათვის დაწესებული ერთდროული აქციზის რაოდენობა შეიცვალოს თანახმად ამასთანავე დართული სიისა.

შენიშვნა: ის პირი, რომელმაც უკვე გადაიხადა 1922 წლის ერთდროული სააქციზო გადასახადი ვალდებულია გადაიხადოს განსხვავება თანახმად ამა დეკრეტის მე-3 მუხლის დამატებისა ამავე დეკრეტის დამტკიცებისათვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

4. ნებადართულია ნორმეულ ქარხნებში ღვინისაგან სპირტის გამოხდა იმ ნორმებით, რომელიც დაწესებული იქნება ფინანსთა კომისრის მიერ.

5. აღდგენილ იქნეს სავაჭრო ადგილის ტიპი (დუქანი) ცხელი საჭმელების გაყიდვისა და მაგარი სასმელის იქვე დალევისა და გარედ გატანის უფლებით.

6. დაწესდეს საპატენტო გადასახადი ამა დეკრეტის მე-5 მუხ. აღნიშნული სავაჭროებისათვის შემდეგი რაიონებისა: ქ. ტფილისსა და ბათომში—5.000.000 მან. წელიწადში, ქ. ქუთაისში—4.000.000 მან. სხვა ქალაქებში—3.000.000 მან. და დანარჩენ ადგილებში—2.000.000 მან.

7. საპატენტო გადასახადის რაოდენობის შეცვლა და აგრეთვე ამა თუ იმ ადგილის ერთი ჯგუფიდან სხვა ჯგუფში გადარიცხვა მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარს.

8. სასადილოსა და დუქანს იმ ადგილებში, სადაც ღვინის აღნუსხვა შემოღებული არ არის, უფლება აქვს ღვინო ყოველგვარ ჭურჭელში იქონიოს.

9. 1919 წლის ივლისის 31-ს ღვინის კანონის 24 მუხლი გავრცელებულ იქნეს ყოველგვარ მაგარ სასმელზე.

10. გაუქმებულ იქნეს 75 №-ის დეკრეტის პირველი მუხლი კეროსინისა და ნავთის სხვა პროდუქტების აქციზის გაუქმების შესახებ და დაწესდეს აქციზი ამ პროდუქტებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში შემდეგი რაოდენობისა: კეროსინისათვის 5% და 10% ბენზინისა, სოლარის ზეთისა და ნავთის სხვა პროდუქტისათვის საშუალო გასაყიდი ფასის მიხედვით.

11. კეროსინის და ნავთის ყოველგვარი პროდუქტი საქართველოს ფარგლებში ითვლება ფინანსთა სახალხო კომისარიატის არაპირდაპირი გადასახადთა განყოფილების აღნუსხვაზე,

12. დენატურებრივი კეროსინი, კანონიერი დანაკლისი და აგრეთვე ის კეროსინი და ნავთის ყოველგვარი პროდუქტი, რომელიც გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის წესით, თავისუფალია სააქციზო გადასახადისაგან.

შენიშვნა: კანონიერი დანაკლისის ნორმის დაწესება, კეროსინისა და ნავთის პროდუქტების საშუალო ფასის მიხედვით აქციზის რაოდენობის განსაზღვრა და კლასიფიკაცია ნავთის პროდუქტებისა, რასაც აქციზი უნდა გადახდეს ან განთავისუფლდეს ამ გადასახადისაგან,—დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარს.

13. აღდგენილ იქნეს შაქრის აქციზი და ყველა სათანადო კანონი შაქრის შესახებ იმ პირობით, რომ სააქციზო გადასახადის რაოდენობა არ აღემატებოდეს შაქრის საშუალო გასასყიდი ფასის 5%-ს.

14. დაწესდეს საპატენტო გადასახადი ოდეკოლონისა და სხვა ამ გვარი ნაწარმოების ქარხნებისათვის 5.000.000 მან. წელიწადში.

15. ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირი გადასახადთა განყოფილების ადმინისტრაციისა და საოპერაციო ზედამხედველობის თანამშრომელთა ყოველგვარი მივლინება სამსახურის საქმის გამო ქ. ტფილისის ფარგლებში უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

16. აქციზ-გადაუხდელი სახარინის შენახვისათვის, გადაყიდვისათვის, გადაზიდვისათვის და გადატანისათვის დამნაშავეს, გარდა აქციზ-გადაუხდელი სახარინის კონფისკაციისა და ორმაგი აქციზის გადახდევინებისა,—გადაეხდება აგრეთვე ფულადი ჯარიმა 500.000 მანეთიდან 5.000.000 მანეთამდე.

17. პაპიროსის ქაღალდის ქარხნის ან სავაჭროს პატრონს აქციზ-გადაუხდელ პაპიროსის ქაღალდის ფურცლებად გაყიდვისა ან გამოშვებისათვის გარდა ამ ქაღალდის კონფისკაციის და ორმაგი აქციზის გადახდევინებისა,—გადაეხდება, აგრეთვე ფულადი ჯარიმა 500.000 მანეთიდან 5.000.000 მანეთამდე.

18. ყოველი სავაჭროს პატრონი, ან დამტარებელი მეწვრილმანე, რომელიც შეიძენს ან შეინახავს აქციზ-გადაუხდელ პაპიროსის ქაღალდს ფურცლებად, დაისჯება ამა დეკრეტის თანახმად მე-17 მუხლისა.

19. ვინც შეინახავს აქციზ-გადაუხდელ პაპიროსის ქაღალდს ფურცლებად გაყიდვის მიზნით, იმის გარდა, რომ აღმოჩენილი ქაღალდი ჩამოერთმევა, დაისჯება ფულადი ჯარიმით 500.000 მანეთიდან—5.000.000 მანეთამდე.

10 გადახდევინება ათი ზომა აქციზის სახით ყოველ შემთხვევაში შეცვლილ იქნეს ორმაგი აქციზის რაოდენობის გადახდევინებად.

21. სააქციზო წესდების იმ მუხლების დარღვევისათვის, რის თაობაზედაც გათვალისწინებული არ არის სათანადო დასჯის მუხლი, დამნაშავეს გადახდეს ჯარიმად 500.000 მანეთიდან—5.000.000 მანეთამდე.

22. ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგეს, ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც სააქციზო წესდების დარღვევა თვალნათლივია და როდესაც დაკავებული საგნები აშკარა კონტრაბანდას წარმოადგენს,—უფლება ეძლევა,—სასამართლოში საქმის დამთავრებამდე,—განკარგულება გასცეს ამ საგნების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ.

შენიშვნა: ამა დეკრეტის მე-16, 17,18, 19, 20, 21 და 22 მუხლი გავრცელდეს იმ საქმეებზედაც, რომელიც წარმოებაში იქნება ამა დეკრეტის გამოცემის დროს.

23. ამ დეკრეტის განსახორციელებლად ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების არსებული შტატი—გადიდდეს თანახმად ამასთანავე დართული დამატებითი შტატისა.

შენიშვნა: ამა დეკრეტის განსახორციელებლად ფინანსთა სახალხო კომისარს უფლება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

24. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა, ხოლო განხორციელებულ უნდა იქნეს ფინანსთა კომისარის მიერ დადგენილ ვადაზე.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.

საბჭ. თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომის. **ა. სვანიძე.**

კომისართა საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 17.

ტფილისი—სასახლე.

6 №-რის დეკრეტის
მე-3 მუხ. დანართი.

სია

იმ ქალაქ-გარე დასახლებული ადგილებისა, სადაც ღვინის სავაჭროები იხდიან ერთდროულ სააქციზო გადასახადს.

1. ქალაქ-გარე დასახლებული ადგილები, რომლებიც იხდიან ერთდროულ სააქციზო გადასახადს 5.000.000 მან. რაოდენობისას:

თბილისის მაზრა:

1. მანგლისი . . .
2. აღბულახი . .
3. ავჭალა . . .

ბათომის ოლქი:

1. ჩაქვა . . . .
2. ქობულეთი . .

ოზურგეთის მაზრა:

1. სუფსა . . . .
2. ჩოხატაური . .

სიღნაღის მაზრა:

1. თუქურმიშა . .

2. წნორი . . . .
3. ველისციხე . .
4. ლაგოდეხი . .

გორის მაზრის:

1. ახალ-ქალაქი .

შორაპნის მაზრა:

1. შორაპანი . . .

სენაკის მაზრა:

1. ბანძა . . . .
2. აბაშა . . . .

ზუგდიდის მაზრა:

1. ხობი . . . .

ქუთაისის მაზრა:

1. კულაში . . .

2. ქალაქ-გარე დასახლებული ადგილები, რომლებიც იხდიან ერთდროულ საქციზო გადასახადს 4.000.000 მან. რაოდენობისას:

ტფილისის მ.ზრა:

1. საგარეჯო . . .

ხაღნალის მაზრა:

1. გურჯაანი . . .

ბორჩალოს მაზრა:

1. ეკატერინოფელდი

ლეჩხუმის მაზრა:

1. ცაგერი . . .

დუშეთის მაზრა:

1. მუხრანი . . .

გორის მაზრა:

1. ქარელი . . .
2. მეჯვრისხევი . .

შორაპნის მაზრა

1. საჩხერე . . .

თიონეთის მაზრა:

1. თიონეთი . . .

ქუთაისის მაზრა:

1. ტყიბული . . .
2. ბაღდადი . . .
3. დიდი ჯიხაიში .

ოზურგეთის მაზრა:

1. ნატანები . .

ზუგდიდის მაზრა:

1. ანაკლია . . .

3. ყველა დანარჩენ ადგილებში ღვინის სავაჭროები იხდიან ერთდროულ საქციზო გადასახადს,—2.000.000 მან.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახ. კომ.
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახ. კომისარი **სვანიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ., მაისის 17,

---

6 №-რის დეკრეტის
23 მუხ. დანართი.

დამატებითი შტატი

ფინანსთა სახალხო კომისარიატის არაპირდაპირი გადასახადთა განყოფილებისა.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის არაპირდაპირი გადასახადთა განყოფილების არსებული შემოკლებული შტატი გადიდებულ იქნეს შემდეგნაირად:

1 ცენტრალური კანცელარია.

1. ბუხჰალტერი	1
2. ბუხჰალტრის თანაშემწე	2
	3

2. ინსპექცია.

1. ნავთის ნაწილის ინსპექტორი (იგივე ტექნიკი)	2
2. ინსპექტორის თანაშემწე	4
3. კონტროლიორი	12
4. საქმის მწარმოებელი	2
5. შიკრიკი	22

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭო თავმჯდ. **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **სვანიძე.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 17.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 2

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.

დამატებად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ამა 1922 წ. აპრილის 13-ს თარიღითა და 4 №-ით გამოცემულ ბრძანებისა, ამით წინადადება ეძლევა ყველა სამეურნეო, საბჭოთა დაწესებულებათ და კერძო წარმოებათ—განმეორებით მისცენ ამ დაწესებულებათა მოსამსახურეთაგან საქართველოს წითელ არმიაში პოლიტიკური მუშაობისათვის მობილიზაციით გაწვეულ პირთა ოჯახებს ერთდროული დახმარება თვითეულ ოჯახს ხუთასი ათასი (500,000) მანეთი სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის ანგარიშში.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1912 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 4

საქართველოს საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

რადგანაც საქართველოსა და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო ხარჯებს პორტების შემოსავლიდან აწარმოებს და იგი მოხსნილია სახელმწიფო კმაყოფისაგან,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო იძლევა ბრძანებას:

1. საქართველოს და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამმართველომ უნდა აუცილებლად განახორციელოს ფასის გადახდევინების პრინციპი, ე.ი. გადაახდევინოს ხოლმე სათანადო ბაჟი ყველა უწყებას, დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირს მათი საჭიროებისათვის შემოსული და გასული ნავჭურჭლისათვის, საწყობ-სადგომებისა და მიწის ნაკეთების სარგებლობისათვის და სხვა გვარი მეშველობისათვის, რასაც გაუწევს მათ საზღვაო ტრანსპორტი.

2. წინადადება ეძლევა უწყებ.ს, დაწესებულებას და ორგანიზაციას დაუყონებლივ გაუსწორონ სრული ანგარიში საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს—ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი სათვალავით, როგორც წარსული, ისე შემდეგი დროისათვის.

3. საქართველოსა და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფლება ეძლევა იძულებით გადაახდევინოს რაც მას ეკუთვნის, ჩამოართვას და დააცლევინოს საწყობი, დაკავოს ნავჭურჭელი და სხვ., რისთვისაც მან უნდა ისარგებლოს ხელისუფლების სათანადო ორგანოს დახმარებით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 3. ტფილისი—სასახლე.

დებულება

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი

საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს შესახებ.

1. კოოპერაციის ყველა სახის განვითარებისა, კოოპერატივების რეგისტრაციისა და კოოპერაციის მოქმედების საერთო მეთვალყურეობისათვის დაარსებულ იქნეს საკოპერაციო საქმეთა სამმართველო.

2. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო არსებობს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან.

3. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დაევალება:

ა) გაერთიანება და კოორდინაცია როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, ყველა იმ ორგანოების მოქმედებისა, რომელთაც კავშირი აქვთ კოოპერაციასთან;

ბ) შემუშავება დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტებისა, გამოცემა ცირკულიარისა და ინსტრუქციისა და დასკვნის მიცემა კოოპერატიული ორგანიზაციებისა და სხვა სათანადო დაწესებულებათა მიერ—კოოპერაციის შესახებ—შემუშავებულ კანონდებულებათა პროექტებზე;

გ) წარმოება რეგისტრაციისა, როგორც პირველადი ისე სარაიონო და ცენტრალური კოოპერატიული გაერთიანებული ორგანიზაციებისა;

დ) განხორციელება საერთო კონტროლისა—ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა მიერ კოოპერაციის დარგში გამოცემულ დეკრეტებისა და დადგენილებათა და სამმართველოს ცირკულიარების და ინსტრუქციების შესრულებისათვის;

ე) ხელის შეწყობა კოოპერაციის ყოველი სახის განვითარებისა და მისი მოქმედების სფეროს გაფართოებისათვის;

4. კოოპერაციის შესახებ ამა თუ იმ სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ყოველი დეკრეტისა და დადგენილების პროექტი არ შეიძლება შეტანილ იქნეს სახალხო კომისართა საბჭოში თვინიერ საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დასკვნისა.

5. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო შესდგება: ა) კოლეგიისაგან, რომელშიაც შედის: სასურსათო სახალხო კომისარიატისა; სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და კოოპერაციის წარმომადგენელი; თვითეულ წარმომადგენელს დაენიშნება მუდმივი მოადგილე (კოლეგიას თავმჯდომარეობს ერთი წევრთაგანი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დანიშნულებისამებრ) და ბ) სამუშაო აპარატისაგან, რომელსაც შეადგენს საქმეთა მმართველი და მისი კანცელარია; კანცელარიის შტატს დაამტკიცებს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

6. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დადგენილება, მაგალითათ კოოპერატიული ორგანიზაციების რეგისტრაციის უარყოფის გამო, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, რომლ.ს გადაწყვეტილება განსაჩივრებული საკითხის შესახებ საბოლოოა.

7. ამა, დებულების განვითარებისა და განმარტებისათვის საკოპერაციო საქმეთა სამმართველო უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დასტურით გაავცემს ინსტრუქციას და სახელმძღვანელო ცირკულიარს.

8. ამა დებულების გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულია საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლ. კომიტეტის მიერ კოოპერაციის შესახებ მე-14 №-ით გამოცემული დადგენილების დანართი (დებულება საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს შესახებ).

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სასურსათო სახალხო კომისარი **ა. ერქომაიშვილი**

სახალხო კომ. საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

დადგენილება № 20.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 153 № ის დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს;

1. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 153-ის დადგენილების 1-ლი მუხლი შეცვლილ იქნეს შემდეგ ნაირად:

„შრომის პირობები საკოოპერაციო, საკონცესიო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებაში, წარმოებასა და მეურნეობაში, აგრეთვე სამეურნეო საფუძველზე მოწყობილ და იჯარით მიცემულ სახელმწიფო წარმოებასა და მეურნეობაში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღემატება 5 კაცს, იმ შემთხვევაში, როცა მექანიკური მამოძრავებელი მოქმედებს, და 10 კაცს, როცა ასეთი მამოძრავებელი არ მოქმედობს, განისაზღვრება მხარეთა შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებით.

შენიშვნა: მეპატრონე (მოიჯარადრე) მუშები და ყველა პირი, ვინც ამ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო წარმოებისა და მეურნეობის სათავეში სდგას, ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან მიიღოს ზომები კოლექტიურ ხელშეკრულების დასადებად, ქვემოდ ნაჩვენები წესით.

2. მე 14-ტე. მუხლი აღნიშნულ დადგენილებისა შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„მეპატრონე (მოიჯარადრე) და სამეურნეო საფუძველზე მოწყობილ სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა სათავეში მდგომი პირი, რომელიც ანა დადგენილების 1-ლ მუხლს არ შეასრულებენ, ექვემდებარებიან: პირველი მეპატრონე (მოიჯარადრე)—სახალხო სასამართლოს განაჩენით, ჯარიმის გადახდას 300 ოქროს მანეთამდე (ქართული ბონების ანგარიშით), ან იძულებითი მუშაობას დაუპატიმრებლივ ექვს თვემდე ხოლო მეორე—(სახელმწიფო საწარმოო დაწესებულების სათავეში მდგომი პირი—სათანადო სასჯელს ადმინისტრატიული წესით.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე
ა. მიქაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ა. სალარიძე

1922 წ. მაისის 20.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 21.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

პროფესიონალურ, ეკონომიურ, საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციისა და დაწესებულებებში პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდლის შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1922 წ. იანვრის 10-ს თარიღითა და 132-№ით გამოცემულ დადგენილების გასაუქმებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამა დადგენილებით გაუქმებულია წინად გამოცემული ყველა ცალკე დებულება და დადგენილება პროფესიონალურ, პოლიტიკურ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მყოფ პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდლის შესახებ.

2. აღნიშნულ ორგანიზაციათა პასუხისმგებელი მომუშავენი შეყვანილ იქნენ საერთო სატარიფო ჩვიდმეტ კატეგორია ქსელში და გაუქმდეს ამასთანავე, მათთვის ყოველგვარი უფასო გაცემა საერთო ულუფისა და დამატებითი კმაყოფისა.

შენიშვნა: პასუხისმგებელი მომუშავეთა სატარიფო ქსელი გამოქვეყნებულ იქნება დამატებით.

3. პასუხისმგებელ მომუშავეთ, ჩაითვლება თანამდებობის ის პირი, რომელსაც პოლიტიკური დაწესებულება ან პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაცია წამოაყენებს არჩევით ან დანიშ-

ვნით, და რომელსაც აქვს, თეორეტიული მომზადება, სტაჟი და აწარმოებს დამოუკიდებელ პასუხსაგებ მუშაობას სრული სამუშაო დღის ზედმეტს, არა სამუშაო დროსაც:

ა) პრეზიდიუმი ცენტრალური და ყველა აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოო განყოფილებათა, სახალხო კომისარი და მისი მოადგილე, უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულების თავმჯდომარე და მისი მოადგილე, საკავშირო და საკავშიროთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდიუმი, კომუნისტური პარტიისა და ახალგაზდა კომუნისტთა კავშირის კომიტეტები; პასუხისმგებელ მომუშავეთ ჩაითვალოს აგრეთვე იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების წევრი, სახალხო მოსამართლეთა საბჭოს წევრი, სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი, და სახალხო კომისარიატის იმ განყოფილების გამგე, რომელიც მუშაობას აწარმოებს რესპუბლიკის მასშტაბში.

ბ) პარტიისა და პროფიონალური ორგანიზაციისათვის ტიპიური განყოფილებისა და მისი ქვეგანყოფილების გამგე (საორგანიზაციო, პოლიტიკური, ქალთა, სატარიფო-ეკონომიური, კულტურული და შრომის დაცვის განყოფილებანი).

გ) პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციის ინსტრუქტორი ერთი წლისაზე არა ნაკლები სტაჟით და შრომის ინსტრუქტორი.

4. პასუხისმგებელ მომუშავეთათვის შრომის სასყიდლის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს ძიღებული:

ა) რამდენად პასუხსაგებია სამუშაო,

ბ) სამუშაოს სირთულე,

გ) წევრთა რიცხვი იმ ორგანიზაციისა, რომელსაც სამსახური ეწევა.

დ) პროფესიონალური სტაჟი,

ე) თეორეტიული მომზადება, და

ვ) დამოუკიდებლობის ხარისხი მუშაობაში.

5) მე-4 მუხლის მიხედვით ყველა პასუხისმგებელი მომუშავენი განაწილებულ იქნებიან საერთო სატარიფო ქსელში შემდეგი კატეგორიებად:

მე-17 კატეგორია

მომუშავე ცენტრალურ კავკასიის საერთო პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, პრეზიდიუმი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი, უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, სახალხო კომისარი და მისი მოადგილე, ყველა, ვისაც უჭირავს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის თანამდებობა, უზენაესი ტრიბუნალის თავმჯდომარე და წევრები, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და სახალხო კომისარიატების კოლეგიის წევრები, თავმჯდომარე სახალხო მოსამართლეთა საბჭოსი, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის კომიტეტი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტი, სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს კავკასიის ბიურო, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

მე-16 კატეგორია

აჭარისტანისა და აფხაზეთის რესპუბლიკების უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები, პროფესიონალურ კავშირთა და საკავშიროთაშორისო გაერთიანებული ორგანოების ცენტრალური გამგეობანი, პრეზიდიუმი ქ. ბათომისა და სოხუმის აღმასრულებელი კომიტეტისა და პარტიული კომიტეტისა, რუსეთის ახალგაზდა კომუნისტთა კავშირის კავკასიის კომიტეტის პრეზიდიუმი, ახალგაზდა კომუნისტთა კავშირის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტი, სახალხო მოსამართლეთა საბჭოს წევრები.

მე-15 კატეგორია

საკავშირთაშორისო გაერთიანებული ორგანოები, ქ. ფოთისა, ქუთაისისა და ბორჯომის აღმასრულებელი კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის პრეზიდიუმები, ქ. ბათომისა და სოხუმის პროფესიონალურ კავშირთა განყოფილებანი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების წევრები.

მე-14 კატეგორია

ქ. ფოთისა, ქუთაისისა და ბორჯომის პროფესიონალურ კავშირთა განყოფილებანი, რესპუბლიკის ყველა დანარჩენ სამაზრო ქალაქების პარტიული კომიტეტი, სამაზრო პროფესიონალური ბიურო და აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ქ. ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, ქუთაისისა და ბორჯომის ახალგაზდა კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმი.

მე-13 კატეგორია

ყველა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი, სახალხო კომისარიატების იმ განყოფილებათა გამგენი, რომელნიც მუშაობენ რესპუბლიკის მასშტაბში. პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო განყოფილება, ახალგაზდა კომუნისტთა კავშირის სამაზრო ორგანიზაციის პრეზიდიუმი.

მე-12 კატეგორია

სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის პრეზიდიუმი, ახალგაზდა

კომუნისტთა კავშირის სასოფლო განყოფილების პრეზიდიუმი.

მე-11 კატეგორია

პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციათა სასოფლო განყოფილების სამდივნო, საქმეში ახლად ჩამდგარი ინსტრუქტორი, სამაზრო პროფესიონალური ბიუროსი და პროფესიონალური სექციის მდივანი.

6. პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციის ძირითადი განყოფილების გამგე სასყიდლად მიიღებს იმდენს, რამდენსაც პრეზიდიუმის წევრი, ხოლო მისი მოადგილე, დაკისრებული სამუშაოს მიხედვით, მიიღებს გამგის სასყიდელს, ან ერთი კატეგორიით ნაკლებს; ძირითადი ქვეგანყოფილების გამგე და ძირითადი განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი—მიიღებს ძირითადი განყოფილების გამგეზე ნაკლებს 1—2 კატეგორიით, ხოლო დამხმარე ქვეგანყოფილებისა, ბიუროსი და სხვ. გამგე,—2—3 კატეგორიით ნაკლებს.

7. ყველა პარტიული და პროფესიონალური საკითხების პასუხისმგებელი ინსტრუქტორი მიიღებს სასყიდელს გამგეზე ნაკლებს ერთი კატეგორიით, ხოლო ერთი დარგის პასუხისმგებელი ინსტრუქტორი სათანადო განყოფილების გამგეზე ნაკლებს ორი კატეგორიით; შრომის ინსპექტორი მიიღებს მე-11 კატეგორიიდან მე-15 კატეგორიამდე, პროფესიონალური სტაჟისა, ორგანიზაციის სიდიდისა და სხვ. მიხედვით.

შენიშვნა: ამა თუ იმ ორგანიზაციის ან დაწესებულების პრეზიდიუმსა და ადმინისტრაციას უფლება აქვს ინდივიდუალური უნარიანობის მიხედვით გადაიყვანოს მომუშავე დაბალი კატეგორიიდან მაღალში, ხოლო ამასთანავე, მომუშავის განაკვეთი არ უნდა გასცილდეს უწყებული დაწესებულების საერთო განაკვეთის ფარგლებს.

8. საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტი, აგრეთვე პარტიული ბიურო მიიღებს სათანადო კვალიფიკაციის მუშათა ჯგუფის სამუშაო ხელფასის საშვალო რაოდენობის სასყიდელს ხოლო არა უმცირეს შემდეგი კატეგორიებისა:

ა) საქარხნო კომიტეტი, მუშათა რიცხვით 100 კაცამდე, ადგილობრივი კომიტეტი არა სამრეწველო დაწესებულებისა და პარტიული ბიურო მე-10 კატეგორია.

ბ) საქარხნო კომიტეტი მუშათა რიცხვით 100 კაციდან 200-დე მე-11 კატეგორია.

გ) საქარხნო კომიტეტი, სადაც მუშათა რიცხვი 200 კაცს აღემატება მე-12 კატეგორია.

9. პასუგისმგებელ მომუშავეს ეძლევა შრომის სასყიდელი ამა ტარიფის თანახმად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მისი მუშაობა უწყებულ ორგანიზაციაში სწარმოებს სამუშაო დროის განმავლობაში და არის მუდმივი, ე. ი. თუ ეს მუშაობა ფაქტიურად შეუთავსებელია რაიმე სხვა მუდმივ სასყიდლიან სამუშაოს შესრულებასთან. 3

10. სასყიდლიანი თანამდებობის შეთავსება პასუხისმგებელ მომუშავესათვის და აგრეთვე რაიმე სხვა გასამრჯელოს მიცემა, გარდა ლიტერატურული ნაწარმოების ჰონორარისა და სწავლების სასყიდლისა—აკრძალულია.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭოთა დაწესებულების ძირითად მუდმივ სამსახურში მყოფი პირი გაწვეულ იქნება სამუშაოდ პროფესიონალური ორგანიზაციაში როგორც პასუხისმგებელი პროფესიონალური მომუშავე, და არა სამუშაოს დროს აწარმოებს სრული სამუშაოს დღის ზედმეტ მუშაობას, მიიღებს სასყიდელს იმ საათებისათვის, რაც მას ნამდვილად უმუშავნია; ხოლო ეს სასყიდელი არ უნდა აღემატებოდეს პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფის სათანადო კატეგორიის თვიური განაკვეთის 50%-ს ნახევარი საათის სასყიდლის ანგარიშით, რასაც მივიღებთ აღნიშნული განაკვეთის გაყოფით თვიურ 24 სამუშაო დღეზე და დღიურ 6 ს. სამუშაო საათზე.

11. პასუხისმგებელი მომუშავე მიეწერება უმაღლეს სამრეწველო ჯგუფს.

12. მივლინების დროს მისაცემი გასამრჯელო პასუხისმგებელ მომუშავესათვის გამოანგარიშებულ უნდა იქნეს მისი ძირითადი განაკვეთიდან.

13. ტარიფის მიხედვით პასუხისმგებელ მომუშავეთა განაწილების დამტკიცება და კონტროლი ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაევალოს საკავშიროთაშორისო გაერთიანებულ ორგანოებს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილებას შემდეგი კონტროლით:

14. დადგენილება ესე ძალაში შედის ამა 1922 წლის აპრილის 1-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

პროფკავშირთა საბჭ. სატარ.-ეკონ განყ.
გამგე **ს. ჯულელი.**

სახალხო კომის. საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 23.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 22.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საბჭოთა დაწესებულებების ადმინისტრატიული საჭიროებისათვის მუშა-ხელისა და შარაგზით ტვირთზიდვის საშუალებათა გამოყენების წესის შესახებ.

შრომის ხარკის დეკრეტის განხორციელებასთან დაკავშირებით, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის ნორმის გარეშე, კერძო მფლობელობის ტვირთზიდვის საშუალებათა გამოყენება საბჭოთა დაწესებულებების მიერ სამსახურის გამო წარვლინებულ პირთა საჭიროებისათვის და, აგრეთვე, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიმდინარე საჭიროებისათვის,—აკრძალულია.

2. საფოსტო საჭიროებათა და უწყებების საწარვლინებო საჭიროებისათვის შარაგზით ტვირთზიდვის საშუალებათა გამოყენება შეიძლება მხოლოდ ნებაყოფლობითი დაქირავებისა და ანგარიშის ნაღდი გასწორების წესით.

შენიშვნა: ა,—ამ წესის გამონაკლისი, ე. ი. შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის ნორმების გარეშე,—შარაგზით ტვირთზიდვის საშუალებათა გამოყენება,—შეიძლება შინაგან საქმეთა და შრომის სახალხო კომისარიატების განსაკუთრებული დადგენილებით,—აღმასრულებელ კომიტეტთა და სამხედრო უწყების საჭიროებისათვის იმ ადგილებში, სადაც სამხედრო და საალყო წესია გამოცხადებული.

შენიშვნა: ბ,—გამონაკლისი აგრეთვე შესაძლებელია მაზრისა და თემის აღმასრულებელ კომიტეტთა მიმართ მილიციის საჭიროებისათვის ბანდიტიზმთან საბრძოლველად; ამასთანავე ამის შესახებ უნდა ეცნობოს შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს (შრომის განყოფილებანი, თემის რწმუნებულნი).

3. იმ ადგილებში, სადაც შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის საშუალებათა გამოყენება შეუძლებელია, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლ. თებერვლის 3-ს თარიღითა და 137 №-ით გამოცემული დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოთათვის,—საფოსტო საჭიროებისა და უწყებათა საწარვლინებო საჭიროებათა დაკმაყოფილება შეიძლება შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ნორმის ანგარიშში—შრომისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

4. შრომისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს უფლება ეძლევათ ამა დადგენილების განვითარებისა და დაბალ ტ ბისათვის გამოსცენ დადგენილებანი, ინსტრუქციები და განმარტებანი.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1922 წ. მაისის 30.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 23.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

დაქირავებული შრომით მომუშავე პირთა დასაზღვევად დამზღვევ ორგანოებში სპეციალურ ანარიცხის შეტანის შესახებ.

რათა დროებითი და მუდმივი შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთ სამკურნალო-სამედიცინო და მატერიალური დახმარება თავის დროზე და სათანადო გეგმის მიხედვით აღმოეჩინოთ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი სახელმწიფო საწარმოო და სხვ. დაწესებულება, კერძო საქარხნო-საფაბრიკო, საკონცესიო, იჯარით გაცემული, საკოოპერაციო, სახელოსნო და სავაჭრო წარმოება და დაწესებულება, და აგრეთვე დაწესებულება და წარმოება, რომელიც დამყარებულია სამეურნეო საფუძველზე (ტრესტში შესული და სხვ.) და ყოველი პირი, რომელიც მოიხმარს დაქირავებულ შრომას,—ვალდებულია, 10% მთელი იმ სამუშაო გასამრჯელოსი (ჯამაგირი, ზედმეტი ნამუშევარი, პრემიალური, ნატურალური და სხვ.), რომელსაც იგი მუშა-მოსამსახურეთ გადაუხდის შეიტანოს: ცენტრში—შრომის სახალხო კომისარიატის დამზღვევ განყოფილებაში, ხოლო ადგილობრივ-შრომის განყოფილების დამზღვევ ქვეგანყოფილებაში.

შენიშვნა: დაზღვევის საპროცენტო ანარიცხი მუშა-მოსამსახურეს არ უნდა გამოერიცხოს.

2. საპროცენტო ანარიცხის შეტანა სწარმოებს ყოველი თვის 1-სა და 16-ს; ამასთანავე წარდგენილ უნდა იქნეს დამზღვევ ორგანოებში ყველა მუშა-მოსამსახურის სახელობითი სიები, სადაც ნაჩვენები უნდა იქნეს ნამდვილი სამუშაო სასყიდელი, თანახმად ამა დადგენილების პირველი მუხლისა და რაოდენობა თვითეულზე შესატანი დასაზღვევი თანხისა.

3. ამა დადგენილებაში აღნიშნული საპროცენტო ანარიცხი შემოღებულ იქნეს ამა 1922 წლის მაისის 1-დან.

4. ყოველმა სახალხო კომისარიატმა და ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ცენტრალურმა დაწესებულებამ მათი ქვემდებარე დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების დაზღვევით გამოწვეული ხარჯი უნდა შეიტანოს სათანადო აღრიცხვაში იმ საერთო თანხის 10% რაოდენობით, რომელიც მას ეძლევა პირადი შედგენილობის შესანახად, რისთვისაც ფინანსთა სახალხო კომისარიატი გახსნის კრედიტს ამა 1922 წლის მაისის 1-დან.

5. ვინც თავის დროზე საპროცენტო ანარიცხს არ შეიტანს ადგილობრივ დამზღვევ ორგანოში, გადაიხდის საურავს შესატანი სათანადო თანხის 10%-ს რაოდენობით თვეში, ამასთანავე არა-სრული თვე ჩაითვლება სრულ თვედ.

6. მეთვალყურეობა დასაზღვევი ანარიცხის თავის დროზე შეტანისათვის დაევალება შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ განყოფილებას.

7. დღემდე გამოცემული ყოველი დადგენილება ამ საგნის შესახებ გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

დადგენილება № 24

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

დაქირავებული შრომით მომუშავე პირთა დასაზღვევად დამზღვევ ორგანოებში საპროცენტო ანარიცხვის შეტანის გამო 23 №-რით გამოცემული დადგენილების მე 3 და მე-7-ე მუხ. შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3-ე მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულება, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მომარაგებაზე, საპროცენტო ანარიცხის შეტანას აწარმოებენ ამა 1922 წ. მაისის 1-დან, ხოლო ყველა დანარჩენი საწარმოო და სხვა დაწესებულება იმ ვადაზე, რომელიც გათვალისწინებულია შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ამა 1922 წ. იანვრის 24-ს თარიღითა და 11 №-ით გამოცემული დადგენილებით.

11. მუხლი მე-7-ე შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ამ საგნის შესახებ გამოცემული ყოველი დადგენილება გაუქმებულ იქნეს, გარდა შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ამა 1922 წ. იანვრის 24-ს თარიღითა და 11 №-ით გამოცემული დადგენილებისა.

საქართ. სახ. კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომის. **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 2.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 25

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი მოზარდთა შრომის სასყიდლის შესახებ.

მოზარდ—შეგირდების შრომის სასყიდლის შესახებ არსებულ დებულებათა შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოზარდ-შეგირდის შრომის სასყიდლის რაოდენობა შემცირებული სამუშაო დღისათვის განსაზღვრულ უნდა იქნეს კვალიფიკაციის განვითარების მიხედვით სრული სატარიფო განაყოფის 17 კატეგორიანი ქსელის 1-და მე-6-ე კატეგორიამდე.

შენიშვნა: შეგირდად იგულისხმება: მოზარდი, რომელიც სწავლობს მუშათა სკოლის კურსებზე, მოზარდი, რომელიც იღებს პროფესიონალურ განათლებას და ხელქვეითი—მომუშავე, რომელიც იღებს სწავლას წარმოების პროცესში კვალიფიციური მუშის ხელმძღვანელობით.

2. მინიმალური რიცხვი მუშებისა, რომლებმაც უნდა ისწავლონ უწყებულ საწარმოო დაწესებულებაში, განსაზღვრულ უნდა იქნეს ქარხნის მმართველობისა და უწყებული პროფესიონალური კავშირის მმართველობის ერთი-ერთ შეთანხმებით.

შენიშვნა: მოზარდ-შეგირდს, რომელიც იღებს პირველ-დაწყებითი სწავლის სამოსწავლო სახელოსნოში, შრომის სასყიდელი მიეცემა თანახმად ამა დადგენილების 1-ლ მუხლ.

3. შეგირდის ნამუშევარის ნორმა დაწესებულ უნდა იქნეს შრომის მოწესრიგების ადგილობრივი საქარხნო-საფაბრიკო ორგანოს მიერ, სწავლების მიზნისა და შრომის დაცვის ნორმის მიხედვით იმ შემთხვევაში, როდესაც გამორკვეულ იქნება შეგირდის უუნარობა უწყებული პროფესიის შესწავლისათვის,—საწარმოო დაწესებულების დადგენილებით იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა სამუშაოზე ან დათხოვნილი საერთო წესით.

როგორც სატარიფო განაკვეთის დაწესების, ისე შეგირდების საცდელი ნამუშევრის ჩაბარებას განაგებს შრომის მოწესრიგების ადგილობრივი სა-

ქარხნო-საფაბრიკო ორგანო საქარხნო-საფაბრიკო სწავლების სკოლის წარმომადგენელთან ერთად.

შენიშვნა: ამა მუხლის განსავითარებლად საქართველოს პროფესიონალური კავშირის საბჭოს სატარიფო ეკონომიური განყოფილება პროფესიონალური განათლების მთავარ მმართველობასთან ერთად, გამოსცემს სათანადო ინსტრუქციასა და დებულებას.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და არა-სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებისა და მეურნეობისათვის.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარის
მოადგილე **ა. მიქაძე.**

საქარ. პროფ. კავშირ. საბჭ. სატარ.
ეკონომ. განყოფ. გამგე **ს. ჯულელი.**

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივნისის 3.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 26.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

თემის აღმასრულებელ კომიტეტებში სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის წევრების მივლინების წესის შესახებ.

რათა საქართველოს მშრომელ გლეხობასთან ნამდვილი და მუდმივი კავშირი იქნეს დამყარებული და იგი ჩაებას საბჭოთა წესწყობილების გასამტკიცებელ მუშაობაში, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკალოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს თავის წევრთა ერთი მესამედი ნაწილი წარავლინონ თემთა აღმასრულებელ კომიტეტებში მუდმივი ადგილობრივი მუშაობისა, თემთა აღმასრულებელ კომიტეტების ხელმძღვანელობისა და მათთვის საბჭოთა ხელისუფლების მიზნების განმარტებისათვის.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გეგეჭკორი.

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

შინაგ. საქ. სახ. კომისარიატი

ცირკულიარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს.

ადგილობრივი ორგანოების მიერ სახელმწიფო ენის ხმარების წესის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შემოსული ცნობების თანახმად ადგილობრივ, როგორც მცხოვრებნი, აგრეთვე ხელის უფლების ორგანოებიც, ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან რუსული ენის უცოდინრობის გამო. არის ისეთი შემთხვევაც, რომ ორგანო, რომელიც საქმეს აწარმოებს სახელმწიფო, ქართულ ენაზე, ღებულობს მოწერილობას რუსულად და ვინაიდან ადგილობრივი ორგანოს არ აქვს შეძლება და არც საჭიროება მოითხოვს რუსულადვე პასუხს, საქმის სისწორით და დროზე ასრულება ბრკოლდება.

აღსანიშნავია ისიც რომ მიწერილობის გამგზავნი დაწესებულება უწინ სახელმწიფო ენაზე გზავნიდა მიწერ-მოწერას და პირადი შემადგენლობის შეცვლის გამო, ხშირად ირღვევა უკვე გაჩალხული და მიღებული წესი. ასეთი გარემოება და არევ-დარევა ყოვლად მოუთმენელია. გარდა ბორჩალოს, ახალქალაქის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და წითელ არმიისა, მიმოწერა უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენაზე.

ასეთი ხასიათის ცირკულიარული ბრძანება უკვე გამოიცა (იხ. ჟურნალი „მოამბე“ № 13) 1921 წლ. ავგისტოში თანახმად საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ცირკულიარული წერილისა და დეკრეტისა.

განმეორებით ეძლევა წინადება ყველა ორგანოს ადგილობრივ და დაწესებულებათ სისწორით დაიცვან შემდეგი:

1. საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშვნის დროს აუცილებლად მიღებულ იქნეს მხედველობაში სახელმწიფო, ქართული ენის ცოდნა.

2. ადგილობრივ საპასუხისმგებლო ადგილზე უნდა დანიშნონ ისეთი პირნი, რომლებმაც აუცილებლად იციან ქართული ენა და გარდა ამისა იმ ეროვნების ენაც, რომელიც დიდ უმრავლესობას შეადგენს ამა თუ იმ რაიონსა თუ თემებში.

3. მიწერ-მოწერა ადგილობრივ ორგანოებთან უნდა სწარმოებდეს აგრეთვე ქართულ ენაზე, ხოლო ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის დიდ უმეტესობას არა ქართველნი შეადგენენ უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამ ბრძანების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგე **შ. დადიანი.**

1922 წ. მაისის 23 *).

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

მოხსენებათა წარმოდგენის შესახებ.

ზოგიერთი თემი აქამდეც გზავნის თავის აღმასკომების სხდომების ოქმებს და ანგარიშებს უშუალოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, მიუხედავათ იმისა, რომ უკვე გამოცემულ ცირკულიარის თანახმად ყველა მასალა თემების აღმასკომების მუშაობის შესახებ, უნდა გრავდებოდეს და მუშავდებოდეს სამაზრო აღმასკომებში.

ამის გამო გეძლევათ წინადადება მიიღოთ ღონისძიება, რათა თემების აღმასკომების ოქმები და ანგარიშები ეგზავნებოდეს მხოლოდ სამაზრო აღმასკომს, ხოლო უკანასკნელი ვალდებულია პერიოდულად უგზავნის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს საერთო ცნობების კრებული, რომელშიაც უნდა იყოს მოთავსებული სამაზრო აღმასკომის სხდომების ოქმები, ანგარიშები, ყრილობების შედეგები, სრული ანგარიში შინაგან მმართველობის განყოფილების მოქმედებისა და ამოწურული დანარჩენ განყოფილებათა მილიციითურთ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის
მოადგილე **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

საინსტრ. საინფორ. განყ. გამგე **შ. დადიანი**

ტფილისი, ივნისის 13, 1922 წ.

---

*) ეს ცირკულიარი იბეჭდება მეორედ, რადგან „მოამბეს" № 34-ში მოთავსებულ დედანში კორექტურული შეცდომის გამო გამოტოვებული იყო წინადადების ტექსტის პირველი მუხლი.

რედ.

ბრძანება

რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციისადმი

№ 34.

მაზრის და ქალაქის მილიციის უფროსებისაგან ხშირად მოდის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო განყოფილებას მოთხოვნილების ფურცლები უნაგირების, ნალების, თოფების და ვაზნების გაგზავნის შესახებ, მაგრამ ასეთ მოთხოვნილებებს არა აქვსთ დართული დოკუმენტები რომელნიც უნდა ადასტურებდენ აღნიშნული ნივთების და მასალების საჭიროებას. ასეთი უნორმალო მდგომარეობას მიაქცია ყურადღება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, რომელმაც ბრძანა, რომ ყოველგვარ საგნების და მასალების მოთხოვნილებას უნდა დართული ქონდეს კომისიის აქტი, რომელშიაც დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული ყოველ საგნის ან მასალების შესახებ, თუ როდის იყო მიღებული, რამდენი დაიხარჯა, ან უვარგისი შეიქნა, რამდენი დარჩა და რამდენია საჭირო.

ხსენებული კომისია შესდგება მილიციის, ადგილობრივ აღმასკომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, საგანგებო დანიშნულების ნაწილის (ჩონის) და თუ „ჩონი" არ არის, ადგილობრივი გარნიზონის, — წარმომადგენელებისაგან.

ყოველგვარი მოთხოვნილება, რომელიც იქნება წარმოდგენილი აქ ნაჩვენები წესის დაუცველათ, უყურადღებოთ იქნება დატოვებული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მომარაგების განყოფილების მიერ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის ასეთს ბრძანებას ვაცხადებ სახელმძღვანელოთ და სრულის ხისწორით ასასრულებლათ.

რესპუბლიკის მილიციის უფროსი **ზ. ტრაპაიძე**

სამილიციო განყ. უფროსი **გ. ქავთარაძე.**

15 ივნისი. 1922 წ.

ქ. ტფილისი.

განცხადებანი:

დავკარგე: 1) უვადო პასპორტი მიღებული იალტის პოლიციის სამმართველოდან 1913 წ. № 104, 2) პირადობის მოწმობა და სამსახურიდან განთავისუფლების ქაღალდი მიღებული 1921 წ. კისლოვოდსკის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორისაგან, 3) მოწმობა შრომის უნარ დაკარგვის შესახებ მოცემული კისლოვოდსკის სიბეისისაგან. 4) სამხედრო სამსახურიდან სრულიად განთავისუფლების შესახებ მოცემული მოსკ. სამხ. კომისარიატისაგან რუბენ ავეტის ძე ხუბლარიოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე ყვავლო პასპორტი, მიღებული 1918 წ. ტფილისის საკათალიკოსო საბჭოს კანცელარიიდან № 1103 **ვასილ ივანეს ძე ხახიშვილის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პირადობის მოწმობა, მიღებული ბაქოს მეოთხე სამილიციო უბნის კანცელარიიდან 1921 წ. იანვარში № 6 **სოლომონ ბესარიონის ძე ოსაძის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პასპორტი მიღებული 1920 წ. ტფილისის პირველ სამილიციო უბნის კანცელარიიდან **ერიქნას არშაკ·ს ასულ სარქისოვის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პასპორტი მიღებული ტფილისში მყოფ ლიტვის წარმომადგენლობის კანცელარიიდან 1920 წ. 1 სექტემბერს **გრიგოლ ალექსანდრეს ძე რაბინოვიჩის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისში მყოფ ლიტვის წარმომადგენლისაგან 1921 წ. მაისში **ანნა ილიას ასულ სუკალსკი-რაბინოვიჩის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე: პირადობის მოწმობები: 1) მიღებული ბათომის მეტყავეთა კავშირისა, 2) ბათ. ტყავეულობის ქარხნის კომიტეტისაგან, 3) მოწმობა ოსმალეთის ქვეშევრდომობის შესახებ, 4) მოწმობა ტფილისის საბუღალტერო კურსების დამთავრების შესახებ. **მიხეილ იოსების ძე ასპეტიანის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პასპორტი მიღებული 1919 წელს ტფილისის სამილიციო სამმართველოს კანცელარიიდან **ამზა ნამოს ძე მსტოევის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პასპორტი მიღებული ნახიჩევანის საპოლიციო სამმართველოდან 1914 წელს **სვიმონ კარაპეტის ძე აბგაროვის** სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პასპორტი მიღებული 1920 წელს ტფილისის მილიციის სამმართველოდან **ჰამიდ სადის ძე მიხოევის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე ჯვრის წერის მოწმობა მიღებული კისლოვოდსკის მოქალაქობრივი მდგომარეობის ჩაწერ განყოფილებისაგან 1921 წ. 6 ოქტომბერს **ზინაიდა სტეფანეს ასული ტერ-რუთინოვის (კორშუნოვის)** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი მიღებული ბაქოს რკინის გზის ეკლესიის წინამძღვრისაგან 1904 წელს ნადეჟდა თევდორ..ს ასული კორჟავაევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

თანახმად 68-მუხ. დეკრეტი № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრ. ქ. თბილისის ალმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ მოქალაქე ივანე მიხეილის ძე ბალოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის ბასოვის შეცვლის შესახებ **ივანე მიხეილის ძე დემენტიევათ.**

ქვეგანყოფილების უფროსი **სიმონიშვილი.**

საქმის მწარმოებელი **წვამაძე.**

დაკარგე პასპორტი, მიღებული 25 მაისს, 1922 წელსა ყაზახის აღმასრულებელ კომიტეტისაგან ოგანეს კარაპეტიანის ძე სიმონიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე: პასპორტი მიღებული ტფილისში არსებულ აზერბეიჯანის მისიის კანცელარიიდან **გურეიშ-ხანუმ სამედოვის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტი № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა სამართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრ. ქ. თბილისის ალმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს რომ მოქალაქე **იური სერგოს ძე კოვალკოვმა** შემოიტანა განცხადება მისი გვარის კოვალკოვი შეცვლილ იქნეს **ბერეჟეზე**

ქვეგანყოფილების უფროსი **სიმონიშვილი.**

საქმისმწარმოებელი **მაჭარაშვილი.**

ს. დ. ს. ც. ტფილისი. მე-3 უ. ს. ს. ს. ს. პოლიგრგანყ. სტამბა—ტირაჟი 2400·